საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
2008 წლის 4 აპრილის № 189/9 გადაწყვეტილების საფუძველზე
წარმოგიდგენთ *შპს „საქართველოს ცენტრალური
კავშირგაბმულობის კორპორაციის“* საკუთარი ქსელის
საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და
ურთიერთჩართვის სატელეფონო ზარების (წამოწყება/დასრულება)
მომსახურების

შეთავაზების წინადადებას
(მოწვევა ოფერტაზე)

1. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ა. ქვეპუნქტის თანახმად:
ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების სატელეფონო სადგურების ინდექსები და მისამართები:

საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის

ასს-ის ინდექსები	მომსახურების მიწოდების მისამართი	ინტერფეისი
15;17;18	რუსთავი, მეგობრობის № 9	G 703,SS7,V5.2

2. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ბ. ქვეპუნქტის თანახმად:
ა) ფიქსირებული საკომუტაციო ქსელებით საქმიანობის საბითუმო მომსახურების ბაზარზე ფიქსირებული და მოძრავი საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და სატელეფონო *ზარის წამოწყების მომსახურების ტარიფი 4 თეთრი/წუთი დღგ-ს ჩათვლით;*
ფიქსირებული საკომუტაციო ქსელებით საქმიანობის საბითუმო მომსახურების ბაზარზე ფიქსირებული და მოძრავი საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და სატელეფონო *ზარის დასრულების მომსახურების ტარიფი ქ. რუსთავში 4 თეთრი/წუთი დღგ-ს ჩათვლით.*

3. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.გ. ქვეპუნქტის თანახმად:
ა.გ) *ურთიერთანგარიშსწორება* განხორციელდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე, წარმოადგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.დ. ქვეპუნქტის თანახმად:
ქსელში ურთიერთჩართვის მსურველმა ოპერატორმა უნდა წარმოადგინოს *განაცხადი* რომელიც უნდა შეიცავდეს: ა) მსურველი ოპერატორის ურთიერთჩართვის ტექნიკურ პროექტს, ურთიერთჩართვის სისტემის და ქსელის გეგმით; ბ) ტრაფიკის მარშრუტს; გ) ტრაფიკის წინასწარ შეფასებას; დ) გამოყენებულ ინტერფრეისებს;
შპს „ *საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია*“ განცხადების რეგისტრაციიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მოახდენს პარამეტრების ტესტირებას;

5. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ე. ქვეპუნქტის თანახმად იხ. დანართი

6. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ვ. და ა.კ. ქვეპუნქტების თანახმად:
მსურველი აქცეპტანტის მიერ წარმოდგენილი განაცხადის და გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.დ. ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდეგ მხარებს შორის მსურველი აქცეპტანტი პირის მიერ აქცეპტის წარდგენიდან *20 კალენდარული დღის ვადაში ფორმდება ურთიერთჩართვის ხელშეკრულება და შესაბამისად ქსელში ჩართვა.*

7. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ზ. ქვეპუნქტის თანახმად:
ურთიერთჩართული ოპერტორების მომსახურე *ტექნიკური პერსონალის დაშვება მოხდება მხოლოდ წინასარ შეთანხმებული სიის მიხედვით.*
„საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“ თავისუფალი თანალოკაციის ფართი არ გააჩნია.

8. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.თ. ქვეპუნქტის თანახმად:
დამატებითი სიმძლავრეების დამატება (თუ ამის საშუალება არსებობს) განხორციელებულ იქება (10) დღის ვადაში მას შემდეგ რაც მსურველი აქცეპტორი ყოველ კონკრეტულ შემთხვევში მოგვმართავს წერილობით, რომელიც განხილულ იქნება ათი (10) დღის ვადაში და რომელზეც გაცემულ იქნება დადებითი დასკვნა.

9. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ი. ქვეპუნქტის თანახმად, *ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ გარემოებებში* მსურველი ოპერატორის მხრიდან გამოწვეული ზარალი ანაზღაურდება მის მიერ სრულად.

10. მოწვევის *ოფერტა მოქმედებს 6 თვიანი ვადით.*

11. ოფერტა ფიქსირებული საკომუტაცი ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების და სატელეფონო ზარის დაწყება/დასრულების ნაწილში ძალაში შედის ეროვნული კომისიის ვებ გვერდზე გამოქვეყნების დღიდან, ხოლო მოძრავი ფიქსირებული საკომუტაცი ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების და სატელეფონო ზარის დასრულების ნაწილში ძალაში შედის მობილური კომპანიების მიერ, ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 აპრილის №189/9 გადაწყვეტილების თანახმად, ეროვნული კომისიის ვებ გვერდზე ოფერტის გამოქვეყნების დღიდან.

შპს „ საქართველოს ცენტრალური
კავშირგაბმულობის კორპორაციის“
გენერალური დირექტორი *ნ.შარაშენიძე*